



საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა:

საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები (10 ECTS):
უცხო ენა.

საფაკულტეტო სავალდებულო საგნები (10 ECTS):
კალკულუსი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

საფაკულტეტო სავალდებულო-არჩევითი საგნებიდან (20 ECTS) სტუდენტი ირჩევს ჩამოთვლილიდან 4 საგანს:

ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ელექტრონიკის საფუძვლები; წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, დაპროგრამების საფუძვლები

სპეციალობის სავალდებულო საგნები ასარჩევია 4 საგანი (20 ECTS):

ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია ეკოლოგიებისათვის, ეკოლოგიის საფუძვლები; ბიოეკოლოგია; დედამიწის-მცოდნეობა; დოზიმეტრია და რადიაციული კონტროლი; ბუნებათსარგებლობის მენეჯმენტი; ქიმიური ეკოლოგიის საფუძვლები; ეკოლოგიური სამართალი; საბაკალავრო ნაშრომი

სპეციალობის სავალდებულო ბლოკი (თითოეული 60 ECTS):

- ფიზიკური ეკოლოგია
- ქიმიური ეკოლოგია
- ბიოეკოლოგია
- გეოეკოლოგია

გარდა ამისა აღნიშნული ოთხი ბლოკიდან სტუდენტი ირჩევს საგნებს მისთვის სასურველი ერთი, ან ორი ბლოკიდან, 60 ECTS-ის მოცულობით. მას შეუძლია აგრეთვე, იგივე მოცულობით აირჩიოს ნებისმიერი „მაინორ“-პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოპოვებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 ECTS (კრედიტი).



საკონტაქტო პირი :

ეკოლოგიის პროგრამის კოორდინატორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი

ვაჟა ცხოვრეაშვილი

ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თსუ II კორპუსი, ოთახი 221; ტელ.: 294923
ელ-ფოსტა: vazha.tskhovrebashvili@tsu.ge



**ახალი პროგრამა უნივერსიტეტში
NOUVEAU PROGRAMME À
L'UNIVERSITÉ**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი პირველკურსელ სტუდენტებს სთავაზობს

საბაკალავრო პროგრამას

ეკოლოგია




**A la faculté des sciences exactes et naturelles,
l'Université d'état Ivané Djavakichvili de Tbilissi
propose à ses étudiants le programme de**

licence ECOLOGIE

<http://www.tsu.ge/geo/bachprograms1.asp>

თბილისი, 2009



პროგრამის შესახებ

სასწავლო პროგრამა შედგენილია იმ გამოცდილების საფუძველზე, რაც დაგროვდა უკანასკნელ წლებში ევროპულ სასწავლო პროგრამებთან დაახლოების გზაზე. პროგრამას წარმართავენ საუკეთესო ქართველი სპეციალისტები.

განზრახულია უცხოელი პროფესორების მონაწილეობის წასაკითხად, შორს მანძილზე სწავლება და სტუდენტთა გაცვლა, ერთობლივი დიპლომების მომზადება. და სხვ.

პროგრამის პარტნიორები იქნებიან ავსტრიის, იტალიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნივერსიტეტში პროგრამა შემოტანილია საფრანგეთის საელჩოს ხელშეწყობით

La mise en place de ce projet se réalise avec le soutien de l'Ambassade de France en Géorgie en partenariat avec: l'Université BOCU de Vienne (Autriche), l'Université d'Udiné d'Italie et l'Université de Nantes (France)

დასაქმების სფეროები



საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ეკოლოგიის დარგის სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნა არსებობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

უამრავი ადამიანი, დაწესებულება ურთიერთქმედებს ბუნებასთან, სარგებლობს მისი სიკეთით. საქართველოში კი ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე წარმოდგენილი ბუნების დაცვის ნორმატიული დოკუმენტები. ყოველივე ამას კვალიფიციური კადრები ესაჭიროება.

ეკოლოგების დასაქმების არეალი ფაქტიურად შეუზღუდავია და მოიცავს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს, განსაკუთრებით ისეთ დარგებს, როგორცაა ენერგომატარებლები, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, ჰაერის, მინის, წყლის, საკვების დაბინძურება, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, ვაჭრობა, ტურიზმი და სხვა.

საბაკალავრო პროგრამის მიზანი და სწავლების შედეგი

საქართველოს შემდგომი განვითარება აუცილებლად იქნება დაკავშირებული ეკოლოგიურ საფრთხეებთან.

ჯერ კიდევ შეიძლება თავიდან ავირიდოთ მოსალოდნელი პრობლემები. ამისათვის აუცილებელია სპეციალისტების მომზადება ამ მიმართულებით.

ეს არის პირველი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს დიპლომირებული ახალგაზრდების მომზადებას ეკოლოგიის დარგში.

პროგრამის გავლის შემდეგ ბაკალავრს მიეცემა საფუძვლიანი განათლება როგორც ეკოლოგიის დარგში, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, კომპიუტერული და კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებში.

ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე სტუდენტს საშუალება ექნება გაიღრმავოს ცოდნა მისთვის სასურველი რომელიმე განხრით (ბიოეკოლოგიაში, გეოეკოლოგიაში, ქიმიურ ეკოლოგიაში, ფიზიკურ ეკოლოგიაში) და ასევე მომიჯნავე დარგებში.

საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ეკოლოგიის ან მომიჯნავე დარგებში..